



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N15

ქ. მარნეული

18.08.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, გივი ქველაძე.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს თავმჯდომარის განცხადების (რეგ.N253/05. 15.08.2017წ) განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აგვისტოს N03/10039 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთიკისა და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა ბიუროს წევრებს გააცნო ფრაქცია „ნაციონალები“-ს 2017 წლის 15 აგვისტოს N1 ოქმი და განცხადება (რეგ. 253/05. 15.08.2017 წ) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს რეგისტრაციის და ფრაქციის თავმჯდომარედ რაფიკ ჯაფაროვის არჩევის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აგვისტოს N03/10039 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ დამტკიცდეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეთხუთმეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი